



შაბათი, 19 მარტისთვის **N 51** - 1915

შანი  
10 კ

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. შპრ.  
 "თეატრი და ცხოვრება" - ზე  
 წელიწადი მეოთხე. — (იხ. მე-2 გვ.)



ნიკოლოზ იაკობისძე ნიკოლაძე

კახეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ-დამტკიცებული.



შინაარსი:

1, მეთ.ური—1, დღევანდელი ვალი;	
2, დღეს მოიგონეთ!	1
2, მის. ბოქორიშვილი—კოლხეთში	2
3, დ. კობალი—სატრფოს	3
4, იოსებ არიმათიელი—სასცნო.დღე-სასწაული: ელ ზეკე ზიშვილი	3
5, მის. კაიხოშვილი—კოლა ლომთა-თიმე, როგორც ადამიანი	4
6, ა. ორპირელი—უპატრონო	6
7, ს. ვარდოშვილი—** (ლექსი)	7
8, ექიმი შტოკმანი—ქართველი ორ-დინატორი ქალი	7
9, მ. კაიშაური—მოუღ. კენესა	8
10, გ. ქუჩიშვილი—უწყვე ოჯახი	8
11, ს. ფაშალიშვილი აუხსნ. ამოც.	9
12, გაბ გოგუაძე—ორი ხმა	9
13, კ. ყიფიანი—ბედი ქართლისა, ისტ. ქრ. 4 მოქ.	10
14, ს. გლახაშვილი—განცლა	12
15, გოგად ლეონიძე—ფურცლები: ოსკარ უილდი	13
16, გ. ჯაბაური—სახალხო თეატრის ისტორია (გაგრძელება)	15
17, ქართული სახიობა	16
18, წვრილი ამბები; სურათები	17

ხარუზხის საზ. კლუბი მიხეილის ქრ. № 131 პრისტ-თვე

ესი კვირის პროგ 19—27 ქრისტ-თვე  
 შაბათს ვაჟა-ფშაველას სტამო  
 კვირა მუსიკალური სტამო  
 ორშაბ სინემატოგრაფი; სახანდარი  
 სამშაბ. ქართ. წარმოდგენა  
 ოთშშაბ. სინემატოგრ  
 ხუთშაბ.  
 პარასკ. ს. ხანდარი, სინემატოგრაფი  
 შაბათი სიმებიანი ორკესტრი პრესმანის  
 კვირა მუსიკალური სტამო  
 შესაველი ფსბი: მაშაყანი—30 კ. ქალები დ.  
 სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე

სახალხო სახლი

ორშაბათს, 21 ქრისტეშობისთვის, 1915 წ.  
 ქართ. დრამ. საზ-ია დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დღენი ჩვენი ცხოვრებისა

პიესა 4 მოქ. ნ. ანდრეევისა  
 მონაწილენი: ქ-ნი: აბაშიძე ტ., დავითაშვი-  
 ლი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერ-  
 ქეზიშვილი ელ., ბ-ნი: აბაშიძე ვ., გუზია, გომელა-  
 ური ზ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშხნე-  
 ლი ჯ., მამფორია ი., მგალობლიშვილი დ., კვიციე ი.  
 ადგილების ფასი 10 კ.—1 მან.დღ.  
 დაწყისი საღამოს 8 საათზე.  
 რეჟისორი ანდრეიკაშვილი  
 დრამ. საზ-ის გამგ-ის მორიგი წევრი შ. მესხიშვილი.  
 ადგილების ფასი 15 კ-დან 1 მ. 15 კ-დე.  
 შემდეგი წარმოდგენა 21 ქრისტიშობისთვის.

1916 მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამეცნიერო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათებიანი შურნალი იუზმორისტული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით

წალიწალი მიოთხა	თეატრი და ცხოვრება	წალიწალი გამოცემის მიოთხა
	1916 წელსაც გამოვა	წლიურად 5 მან. ნახ. წლ. 8 მან.

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელოვნოეკილ და ახალ-გაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

**შურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესული მიმართულებისა  
 შურნალში ხუთსასამდე სურათი დაიბეჭდება**

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახად ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნაპირებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება ხსოროპანის სტამბაში (მადათოვის კუძმ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დღით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисы, ред. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა





№ 51

წელიწადი  
8 1 3 8 8

წელიწად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тиф-ლის, Ред. „Театри да Цховреба“ I. Име-дашвили

ხელ-მოწერელი წერილები არ დაბეჭდებ-  
ა.—ხელთნაწერები საკურობებისმებრ შეს-  
წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მო-  
ლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის  
კანტორაში—ღლით 9—2 ს., საღამოთი  
5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 51

შ ა ბ ა თ ი, 19 ძ რ ი ს ტ ე შ ო ბ ი ს ი თ ვ ი

1915 წ.

19 ძ რ ი ს ტ ე შ ო ბ ი ს ი თ ვ ი

დღევანდელი  
ვალი

გინახებთ თუ არა მიცვა-  
ლებულიან ხალხში ვინმე რომ  
გაიდრაქება, რა უსიამოვნო  
გარბობას იწვევს?..

სწორედ ასე ირგებიან ზოგიერთი ჩვენი  
ვითომდა ქირისუფალნი, რომელნიც საკუთარ  
ნაქუქში ჩაკეტილან და ხალხის სხელით ნია-  
დავ შხამს ანთხევენ, ურთიერთს ჰგეგმავენ,  
ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას კი ანგა-  
რიშს არ უწევენ: როგორც ამ ათი-თხუთმე-  
ტი წლის განმავლობაში სწერდენ პარტიული  
ქინით გაბრუებულნი ურთიერთის წინააღ-  
მდეგ, ამასვე ვხედავთ დღესაც.

ასეთია სიტყვის ხალხი, მხოლოდ წიგნის  
კაცი, ამა თუ იმ მოძღვრების მიბრუნული მი-  
მდევარი...

საბედნიეროდ სურათი თანდათან იცვლე-  
ბა, უკვე ჩნდებიან ხალხის ნამდვილი მოთხო-  
ვნილები ქვემარტი მუშაკნი, არა მყვარალა-  
ნი, არა ერთი მოღვესილნი, არამედ მოსაქმე-  
ნი, რომელნიც დაბა-სოფლებში ჩასახლებუ-  
ლან და ერის წყლულთა მკურნალობას გულ-  
მხურვალედ შესდგომიან...

ამ ბოლო დროს ჩვენში დაწყებული კო-  
ოპერატიული მოძრაობა, გასულ კვირას კა-  
ხეთში შემდგარი კოოპერატივთა კავშირის  
დამფუძნებელი კრება, ჩვენს ზოგიერთ დაბა-  
სოფელში საკუთარი სათვალრო დარბაზების  
აშენება და სხ. გვიჩვენებს, რომ ჩვენი ქვე-  
ყანა აღარაძინებას უკვე ქვეიდან, ძირიდან  
იწყებს: თვით ხალხის შეილებივე თავს იღებენ

კულტურულ-ეკონომიურ წინსვლის საქმეს  
და ჩვენი პრესის მოვალეობაა ახლა ესა თუ ის  
ჯგუფი კი არ გაჰკიცხოს; ესა თუ ის „თეო-  
რია გააც მტვეროს,“ არამედ ჩვენის ცხოვრე-  
ბის მოთხოვნილებას სისწორით გამოეხმაუ-  
როს: ყოველივე პროგრესიულს, დაბა-სოფლის  
თუ სხვა ასპარეზის მესვეურებს ზურგი გაუ-  
მაგროს და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს...

და თუ პრესის რომელიმე ნაწილი მიანიც  
ამას ვერ შეიგნებს, უბრალო წასისინება-კი-  
ნკლაობაზე ხელს არ აიღებს, თვით ხალხის ქე-  
შმარტმა მეგობრებმა ყოველივე ვიწრო ჯგუ-  
ფური განხეთქილება გვერდზე უნდა გადას-  
იღონ და ხალხის საკეთილდღეოდ ერთად იმუ-  
შაონ: სწავლა-განათლება, სკოლა, წიგნთ-  
საცავი, სამშობლო მწერლობის გავრცელება,  
თეატრი, დამშეულ ხალხის გამოკვება, გლეხ-  
თა მკვლევადებისაგან განთავისუფლება ყველა  
შეგნებული ადამიანისათვის ძვირფასი უნდა  
იყოს, რა რუმენასაც უნდა აღიარებდეს...

ღიად, აი რა გვევალება დღეს...

როდესაც მსოფლიო განახლების მოლო-  
დინშია, ჩვენი სამშობლო კი ძაძით მოსილი  
და შინ ამიცვალეული“ გვიცვენია. ლაშ ახეუ-  
ლი ღრეკა—პარტიული სიბრმავეთ ურთიერ-  
თის ჩაქოლვა,—შეუწყნარებელია!..

დღეს  
მოიგონე

დღეს მოიგონეთ კიდევ პირ  
ველი საღამო პირველი ჩვენი მგო-  
სანთაგანის—ვაჟა-ფშაველასი...

გასული შაბათის ნომერში უკვე ავხსე-  
ნით, რა დანიშნულებაც აქვს დღევანდელ სა-  
ღამოს, რა მალალი, კაცთ მოყვარული მიზანი



—საღამოს შემოსავალი ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აშენებას უნდა მოხრმადეს...

—ღაე, მთის შვილის ვეა-ფშაველას სული იმთიი შინც გავახაროთ, რომ მისი სახელო-ბის აგარაკის—ქართველ მოღვაწეთა თავშესა-ფარის—აგებაში ღდეს ჩვენი წვლილი შევი-ტანოთ...

## კ ო ლ ხ ი დ ა შ ი

ვით წეროთა გუნდი სამხრეთისაკენ, მიემ-გზავრებიან ისინი თავიანთ სიცოცხლის დასამ-სხერევეად.

შეგუბებულ კრემლებში გამონაწრთობ სეველიან სიმღერით ემშვიდობებიან სამშობლო მხარეს.

მიემგზავრებიან და მიიმღერიან.

გულ-დამწყლულებელ ქვითინით უცქე-რიან მათ ბედკრული ღედები, ისე ვით ოდეს-მე სპარტნიელი ღედანი უცქეროდენ ტი-გეტის მწვერვალიდან უფსკრულში გადატყორ-ცნილ თავიანთ ჩვილ ყრმებს.

ქალწულთა მორცხვი კრეწლები რწყავს მათ ფეხით ამტვერებულ გზას.

ისინი კი მიდიან და მიიმღერიან, რომ თვისი ძვალეებით მოთესონ, თვისი სისხლით მორწყონ ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან უღაბნოდ ქცეული უცხოთა მხარე.

—საით მიდიხართ! საით მიემგზავრებით?

—რას გვეკითხებთ! ზანა არ იცი? მიე-ღვივართ, რომ მსხერებლად შევეწიროთ ბრძო-ლის ღმერთს, მიეღვივართ რომ ვალი მოვი-ხალოთ დამონებულ სამშობლოს ნაცვლად. ჩვენ თვით არ ვიცით სად მოვკვდებით, ვისთვის ან რისთვის. ჩვენს უკანასკნელ ოხერას უხმოდ შთანთქმავს ჯოჯოხეთურ უღაბნოს სიკრცე. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი სამარის გასაქრელად არვინ დაჰკრავს ბარს სამშობლო მიწას...

და მიემგზავრებიან ისინი, უსაზღვრო სეველით აღდსილ სიმღერით ემშვიდობებიან მღუმარ სამშობლოს, ისე ვით მერცხალთა გუნდი ნღვლიან ჟივილ-ხივლით ეთხოვება შემოდგომის სუსხით დანასუნთქ ყვითელს ფოთლებს. მერცხლები კვლავ დაბრუნდებიან გაზაფხულზე თვის სამშობლოში.

ისინი-კი არას ღროს! არას ღროს...

და მილიან ისინი და მიიმღერიან.

ჩემო სამშობლო! რად შეიძულე შენი ერთგული მენი? სად გაამგზავრე ისინი? რად სღუმხარ, სამშობლო ჩემო? ან კი რა ძალო-გის ღუმილის მეტე?

მის. ბოჭორიშვილი

## ს ა ტ რ ფ ო ს

(ძღუნად თა-მა-ოს)

### I

ღღედიან არ გეკუთენით

არც თქვენა და არცა სხვას.

მე ვეკუთნი ჩემს სატრფოს,

ვისაც რა ჰსურს იგი სთქვას.

ვეკუთენი მის სურვილებს

და მის აზიზ გულის თქმას.

„შენი ვარ, შენთვის მოვკვდე“,—

ამას ვეტყვი მხოლოდ მას.

მთელ ამ ქვიცენის ღიღებზე

არ გავცვლი მის ერთ ღერ თმას.

ჩემს სიცოცხლეს ვანაცვალე

მის ბულბულის ნარნარ ხმას.

ჰსურს მოვკვდები მე მისთვის

და დავიღებ გულზე ქვას.

ოღონდ კი ჩემს საფლავზე

„ჩემთვის მოვკვდა“ ასე სთქვას.

### II

მრწამს, მე სატრფო თვის ხელით

მკვლარს დამარგავს მწვანე მზას.

მეტყვის: „სატრფოე! მშვიდობითა“

და მიაპყრობს თვალგბს ცას.

მრწამს, მალე დაივიწყებს

სასაფლაოს ვიწრო გზას...

სხვას გაიწობს და იმ სხვას...

შესთავაზებს ტრფობის თასს.

მრწამს, როს მკვლარი კუბოში,

ვასაზროლებ მე ქიას,

ჩემი სატრფო, ჩემს გულზე,

სხვისთვის მოჰკრეფს ნახ იას...

ღმე მას რაც ჰსურს იგი ქნას,

სიყვარული შინც მწვამს...

მიყვარს და მას ვაკუთენებ

ჩემს სიცოცხლის ყოველ წამს.

ღ. კოპალი





# სასცენო დღესასწაული

## ელ. ჩერქეზიშვილი



ელ. ჩერქეზიშვილი

30 წ. სასცენო მოღვაწე. ვაჟი.

ერთი ამ ქურუმთაგანია ელისაბედ ჩერქეზიშვილი, — ერთი იმაგანი, რომელნიც სამშობლო ხელოვნების ნიადაგზე აღმოცენდნენ, უცხოში არაფერი სცხაბთ რა, და რასაც ჰქმნიან, თავისთ, საკუთარი ალღოთი...

ოცდა ათი წელიწადია, რაც ელ. ჩერქეზიშვილი სამშობლო სცენას ემსახურება და მერე როგორც ემსახურება?

უქანასკნელ ათიოდე წლის განმავლობაში მინც მისი პირი დი ცხოვრება ისეთს გარემოებაში მოექცა, რომ სხვა ვერც კი აიტანდა: სახლის ჩხრეკა, შიში, ქალის დაქვრვა — მისი განსამართლები-გაციმბირება (პოლიტიკური საქმეზე), ქმარის (ცნობილ მოღვაწე მწერლის ნ. ხიზანაშვილის — ურბნელის) ვერაგულად მოკვლა, და ჩვენს დღეს, ქ-ნი ელისაბედი მინც სამშობლო მელომენის ტაძარს არ განშორებია: უბთბ უტარბი პირადი ტანჯვა, ხოლო გულით სამშობლო სცენის სიყვარული!.. დილა — შუადღით რო საკუთარ კირ-ვარამს იოხებდა, სისამართო — ციხეში ბრიოდ ქალის მოსაკითხად, საღამოთი სცენაზე გამოვიდოდა, რომ... წარბოდგენა არ ჩამოლიოყ...

მისი მოღვაწეობის დაწვრილებით დახასიათებს შემდგომთვის გადასცდებთ, ხოლო ახლა კი მოკლედ აღწაწაწა, რომ მან ჩვენ თეატრში ნამდვილ ეროვნულ შემოქმედებას, მშობლიურ სახელოვნო თვისება-ხასიათების

განმტკიცებას შეუწყო ხელი და მით ქართული თეატრის მნიშვნელობა განაძლიერა... ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში აღბეჭდილი რომელი რეცენზიაც უნდა წაიკითხოთ, თითქმის ყველა ქებით იხსენიებს მას: „ივერია“, „კვალ“, „სწობ. ფურ“ და სხვანი, ხმა შეწყობით აღიარებდნენ მის ნიჭიერებას და მაღალ ხელოვნებას:

„განსაკუთრებით საუცხოვო იყო ქ-ნი ჩერქეზიშვილისა (სწერს „ივ.“ 1897 წ. № 247), — ასეთს რეალურსა, მოფიქრებულს თამაშობას იშვიათად შეგხვდება კაცი იმ არტისტ ქალთა შორისაც კი, რომელთაც მთელს რუსეთში დიდი სახელი მოუხვეჭიათ... ამ არტისტ-ქალს (ჩერქეზიშვილს) დიდი ხანა დამსახურებული აქვს სახელი ჩვენს საზოგადოებაში და სრულიათ სამართლიანადაც. თუ ქ-ნი ჩერქეზიშვილისა გუნებაზე, თუ კარგად აბის მომზადებული, ზოველთის მშენებრად ასრულებს როლებს, შეგნებითა და ფაგებით გვისურათებს ამა თუ იმ გმირს.“ („ივ.“ 1897 წ. № 226).

ქ-ნი ჩერქეზიშვილისა მართლა რომ ნიჭიერი არტისტ ქალია! სავერფელი ალღო აქვს ამ არტისტ-ქალს როლის შეგნებისა და ტიპის გააზიარებისა... დალოცვილი იმითია ხელოვანი, რომ ყველა მოხუცებულს სულ სხვა და სხვა ფერსა სცდებს და მათ დახატვანი განსხვავება შეაქვს.“ („ივ.“ 1897 წ.)

ქ-ნი ჩერქეზიშვილისა შეუდარებელი იყო... სწორედ რომ აღტკებაში მოიყვანა საზოგადოება თავის გონიერულის თამაშით. სწორედ საქებარია და მისაბაძის რა და კვირდება, რომელიც მას გამოეჩინა იმ გვარ ტიპების შესასწავლად, რომლის დამხატველად იგი სცენაზე გამოვიდა. არავითარი გადამტება და ნაკლი არ ეტყობოდა... („სც. ფურ.“ 1898 წ. № 453)

ასეთსავე ქება-დიდებათ იხსენიებს „კვალ“ — ში მახაჩკაგაი (გ. წერეთელი) და ბოლოს დასკენს:

„დიდი მადლობის ღირსია ელისაბედ ჩერქეზიშვილისა, რომელმაც თავის მსახიობურ ნიჭთან ერთად კიდევ ერთი კარგი მარგალიტი შესძინა, ჩვენ ვოდვილებთ ქორის, ქართულ თეატრს („სამოცი წლის არშეიყნე“ სწერს.)

დაიღ, გარდა მსახიობობისა, ელ. ჩერქეზიშვილი მწერალიც არის და მისი ნაწერები ვაზ. ივერია“ — ში გაცნეული.

და ამა დამსახურებულ მსახიობ-ქალს ქართ. დრ.მ. ვამეგობის გადაწყვეტილებით მისამებრ მომავალ იანვარში უმართავენ სახეიშო დღესასწაულს — 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნვეს საღამოს.

მართალია, დღეს ჩვენი ქვეყანა ძაძითაა მოსილი, მრავალი გაქირვება კარს გვირაკუ-



ნებს და დღეს არ ვიცით, ხელ ჩენი ბედი როგორ შეიცვლება, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში კიდევ უფრო მეტის მოწოდებით უნდა გადავიხადოთ ხელოვნების გამარჯვების დღესასწაული და, იმედია, ქართველი საზოგადოება, მისთან ყველა ის, ვინც ხელოვნებას პატივს სცემს, ერთ სახეიშო საღამოზე მაინც გადაუზღის მადლობას იმ მოდერწე ქადას, რომელიც მთელი 30 წელიწადი ხელოვნების ტაძარში ჩვენს ამოღებებს ემსახურებოდა: გული ერთი რგებოდა, პირად კი ჩვენს მანიკერებას ცინოდა, საკუთარი ვარამი გულს უთუთქავდა, ჩვენს საამოდ კი ხიბობდა...

ელისაბედ ჩერქეზიშვილის 30 წ. მოღვაწეობის იუბილეც ხომ ამავე დროს ჩვენი სცენის მიერ წინგადადგმული ნაბიჯის გამარჯვებაა, ეროვნული გათვითცნობიერების საბუთი... მოღვაწეთა ნაღვალის დაფასება ხომ მოზარდი თაობის გამწოთვლილი და აღმაფრთოვანებელი! მაშ წრფილის გულით მივეგებნეთ ამ დღესასწაულს...

**იოსებ არიმათიელი**

**ჭკლა ღომითათიქე, როგორც ადამიანი**

საბრალო მხოლოდ სული ობოლი,  
ძნელა ჰპოვოს, რა დაკავრავს მ.ნ ტალი...  
ნ. ბარათაშვილი

თუ ვინმე უბედურ ქაბუკს კითხვა: „ყოფნა—არ უოფნა?“ შეიბურბას,—განმარტოებულ ფრიალს კლდეზე“ გადსახეხდა განზხადებულ ჭკლად ღომითათიქეს ამ კითხვის მხოლოდ უკანასკნელი ნაწილია თუ ეს მთელი და დაშინს მანკვარ ენით მოქმეთ ამტებდა:

„მაღე მოკვდები“.

მაგრამ ეს გარდაწყვეტილება შიშის ზანს სრულიადაც არ ასმენდა, რადგან მტკიცებდა სქამდა: „სიკვდილი იგი არ იქმნება დეკადენტური—ისეთი, როგორსაც სოლოგუბი და შნიცლერი გვიხატავენ,—არამედ მძლავრი, მაგრამ რეალური, რომლისაც არავის უნდა ეშინოდეს, რადგან სპეტაკი და მომხიბლავია...“)

არ ასმენდა შიშს მით უფრო, რამ ბუნების ნათეს სპეტაკად უუჩრებდა და თვით ბუნებაც დაღე უუგარდა.. ტუყუბაზაძე ხშირად ოგნებობდა: „ოჰ, რა სიამოვნებით წავილოდი მთებში, ტყეებში, სადაც სრულიად უმიზნოდ ვიხეტიალებდი და ბუნების წილში მთელის არსებით ვაგვებოდით!“ მაგრამ რამდენად უუგარდა ბუნება, როგორც ხატება სიმათლასი, სმაგის უმეტესად თვით სიმათლასი მოყვარულებს შესტრეოდა... მისი უმთავრესი სვანია კაცობრიობის შესწავლა-შეგნობა იყო... ჭკლად იყო სინთეზი შშრამბელი საღვსის მზიარებულ აზრების; ვისმეს მხოლოდ სასტიკის ანაღვის შემდეგ მიუღწეობოდა და, როგორც თვით ამბობდა: მის ზდასპერად ანკენს გადადგება ამო იყო...

ბუნებაში ჭკლად აქტურობით დაჯილდოვდა და უსამართლობის ზღუდვთა დასნგრევად ბრძოლა მისი სტიქია იყო—ეს იყო ბაზისი ნამოქმედარისა...

და რამ ამ მოქმედებასთან ერთად შეეცნოთ ჭკლად, როგორც კაცობრიობის თვალსაზრისი წერი, როგორც ადამიანი, მოვალეობად მიგვანხნა, ამ სკითხვასთვის სკირო ნაწვეტები მის კერძო წერილებიდან ამოვიღეთ:

1. საკირველია, რატომ არავის ვუყვარდები, რატომ არავის მოწონებ, ბუნებრივად ხომ არა მიზავს რა, ყოველთვის გულახდილობისა, ინდისიერებისა და გულწრფილობის მოტრფილუ ვარ... ვასოსეს ლერმონტოვის სიტყვები:

„No ты мне душу предлагаешь, На кой чорть душа твоя“...

ასეა ძმაო; მიად რინას ხელი, შენგან სითბოს აიღებ, თვით კი არასფერს მოკცემს. ხალცი ასეა: ყველფერს იღებს, თვითონ კი არავფერს იძლევა... და სწორედ აქ არის ეგოიზმი... (1912 7/VI).

2. ჩემი მწირი ცხოვრების შესახებ წერა მომწყინდა; და აქი სხვებს სრულიად აღარა ვსწერ, მაგრამ შენ ხომ წარმოიდგენ მატერიალურად რა მდგომარეობაში ვიქმნები! ამას მიუმატე ჩემი პოლიცო (ასე ეძახდა თავის ვაჟს), რომელსაც ამ სიცივეში ყველფერი სტორდება; ეცე ხომ არც პალტო მაქვს, არც ფხვთსამელები და არც ქუდი... მაგრამ, ვა, როგორც იქმნება გაფლმებ, ვართ აღარ ვამოვალ...!

ეგრძო წერილებსა და „დღიურიდან“, რომლებიც ჭკლად მიუწერია თავისთან სატუსალოში მჯდომ ძველ მეგობარ ბ. აკიმ ქოჩარინასათვის, რომელსაც ამ წერილითა გადმოცემისათვის დიდს მადლობას ვუძღვნი. რედ.

\*) ეს ხაზგასმული ამონაწერი და სხვა ქვემოთ მოყვანილი ნაწვეტები ამოღებულია იმ ხელთნაწერ





3. მეგობრო აკიმ! სტუმრად ვიყავი... გრამოფონით ჩვენი საყვარელი ხმა დაუკრეს. . . ოჰ, ვერ წარმოიდგენ რაგორ ნათლად წარმომიდგა ჩვენი წარსული, შენთან რატარებელი დრო... თითქმის შენცა გვდღაღდა—კამერაში შემოსულს... გულმა ცახცახი შექმნა, გონება დაკარგული წამოვხტი და სიხარულით დაგიძახე: „აკიმ, აკიმ!“ ყველა გაქცადა... შეშლილი ვეგონე... გონს მოვედი... გამოვტყე... მთელი ღამე დავეხეტებოდი... (1913 წ. 4/IX)

4. ყოველი მეგობრობა ეგვისტურია—ისევე, როგორც სიყვარული, ან სხვა გრძობა. მეგობრობა და დამოკიდებულება იფუშება იქ, სადაც იფანტება ინტერესები, სულ ერთია, ეგვიპტეშია და მიკრონიზია, ლიტერატურული, თუ ესთეტიკური... (1913 წ. 24/VII)

5 მიყვარს სილამაზე და ყოვლის ულამაზესად ჭკვიანი ქალი მიმაჩნია... ახვე უნდა გამოვტყდე, ყოველი ვეი ქალს უსინდისოდ ვქცევა... ჩემი ცხოვრების დღენი ამ საძაგლობის წინააღმდეგ საბრძოლველად ვიხმარებ, მაგრამ ჯერ მაინც დარწმუნებული ვერა ვარ, დავმარცხე, თუ ვერა?! როგორც გენებოთ მიიღებ, სულ არასოდეს მივოცნი და მივოცნივარა ისეთ ქალისათვის, რომელიც არა წყააუბრია, ან არა ვეყარებივარ... ამას ვამაყობ, ეს ჩემი წმინდა რწმენა იყო... თუმცა კი ბუნებრივად ძალიან ვწმინდი და აღფრთოვანებული ვიყავი... (1912 წ. 9/XI)

6. ქალ-ვაჟის მეგობრობას საფუძვლად უსათუოდ ნების აღტყინება უდევს. მაგრამ თუ ვნება იგი მკითრება, თუ ამ გრძობას სხვა რომელიმე გრძობა სკარბობს, მაშინ მეგობრობა სიყვარულად ვერ გარდქმნება... (1912 წ. 24/VII)

7. თუ ქალი შევიყვარე, მარადის მიყვარება; თუ არა და ჩემთვის ქალი არ არსებობს... თავისუფალიც რომ ვიყვე, უცხო ეროვნების ქალს მაინც არ შევირთავდი, რადგან მასთან შეჩვევა, შეთანხმება ძნელია, მით უფრო, რომ ყოველივე ჩემი მშობლიური, ნაციონალური ძალზე მიყვარს და მისი დამთბობა არ შემიძლიან... თუმცა ეხლა ყველას ვკეთობი, ყველა ჩემი ძმები არიან... რას იზამ, ყოვლის უძლიერეს საკვირველებს წარმოადგენს გული, რომელსაც თავის შიგან ყველაფრის მოქცევა შეუძლიან... (1912 წ. 13 VII)

8. ნიწრზე გაჯავრებული ვარ, რადგან სურათის გამოგზავნას დამპირდა და მომატყუილა. აღარც წეროლას მწერს... თურმე სურს უწინ მე მივსწერო, მაგრამ ასეთი სურვილი „მეშინაურად“ და ხასითის დაწერამიწინებლად მიმაჩნია,—ამიტომ არც მე ვსწერ... რომ შემხედვს კიდევ, ჩამოსართმევად ხელს პირველად მე არ გაუწოდებ... (1913 წ. 15/III)

9. რამდენიმე წლის წინად ერთ ჩემ კარგ ნაცნობ ქალს საძაგლი ვუწოდებ და, აი, რად: სამ ამხანაგს ახამართლებდნენ... ორს კატორა და მიუსაჯეს, ერთი განათავისუფლეს... ერთ იმ ორთავანის კოლს თურმე ეს განათავისუფლებული უყვარდა. ქმარს ევეი ჰქონდა, მაგრამ ცოლი თავის პატიოსნებაში აჯერებდა...

განჩენის გამოტანის შემდეგ, ქალმა ვეღარ მოითმინა და განთავისუფლებულს ალტაცებით ულოცავდა... ქმარი მოაგონდა მაშინ, როდესაც „სასამართლოდან მიჰყავდათ... გესმით სად ზარის ს-საძაგლუ?...—ქალს მოვსონოვ, სისაძაგლე იმიტი გამოისყიდ, რომ საყვარულს განშორდი მეტი... მაინც შეეთვისა. ამიტომ საძაგლე ვუწოდე... სიმკაცრე ჩემი დასაგლობა?!—ის ქალი მიზოფს კიდევ სიტყვის უკან წაღებას, მაგრამ ვერ გამოვსძებნე ისეთი მიზოფ, რითაც ჩემი გამტყუნება შეიძლება. ამისთვის სიტყვას უკან არ წავიღებ... (1912 წ. 1/VIII)

ამ წერილებს გარდა ხელთა გვაქვს ერთი წერილიც, რომელიც ჭოლას 1913 წ. რუსეთის განთავისუფლებულ ბ. ვლად. გავაქტ. კორნაღენკოსათვის მიუწერია ამ წერილს სხეულებს პირსა სწერს:

„გიგზავნით რუსულად თარგმნილ ჩემსავე ნაწარმოებს „ეთერ ღამეს“ და უმორჩილესადა გთხოვთ გულდასმით წაიკითხოთ. გარდა თქვენ პატრივტულ ჟურნალში ჩემი ნაწარმის დაბეჭდვის სურვილისა, ასე მოქცევას ვაგალებს ისიც, რომ მესაპრობება გსთავებთ თქვენი გადაწყვეტი ზარი, შემოდლიან თუ არა თარგმნა... ქართულ ლიტერატურაში კი არის ბევრი ისეთი რამ, რომლის გაცნობა რუს მკითხველთათვის საჭიროა. და თუ პირველად ჩემი ნაწარმოებმა გსთავრებინე, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი სტილის, აზრისა და გრძობის გადმოცემა უფრო შეადვილებოდა. ვიდრე სხვისა...“ (15/III)

აი, ეგვალს ის წერილი, აი ეგვალს ის დოზუნგი, რომელიც ჭოლას ადამიანობის, სრულად თუ არა, მტრედად მაინც, გამოსქვეყნებულა. აქა სჩანს მისი ხასიათის სიმტკიცე, აქ გამოსტყვევის მისი ადამიანური კრედა... ჭოლას სულის ძლიერებას—დაობლებას, სანერობიდე, წამება, უკრებებელი სენი—ჭლეკე—გერას აკლებდა და უფრო მძაფრად გაიძახობდა ოწინ, წინ!..“ ამ სიტყვებს ხმარობდა ხალხის განთავისუფლებების დროს, სცდილობდა სწვისი დასწინა არ გამხმარებო, სმუღად ცრუ და არა წრეული ადამიანი, ეგვალსაჯან პატიოსნებას მოითხოვდა და ვაი მას, რომელი ბორტაც შეხედებოდა—„ბიძაშვილობას“ აწაფრად ჩაგკებად, მთავარის ქვეშ ადამიანის სარით მოსიარულე საძაგლებს“ წვეგვას-კრულვას შეუთვლიდა და მართაფიც იყო, როდესაც ამბობდა: „ჩემში ერთ და იმავე დროს ჯალათიც სტხოვრებს და მოსიყვარული ბავშვიცაო“...

დაიდ, მტკიცე იყო მასში მტნება განციც-



ხვისა და გულშემატკივრობისა და, ამით, უფელ შესმენილს იზიდავდა. უფარდა უფელს ერთად და უფელს ტალ-ტალკე, მაგრამ მტკიცედ ადგა იმ ხარს, რომ უფელს თავის ერთგუების შეიღობა უნდა შეუდღეს. და ეს შეხედვლება მასში მერს სხანაგუს იძინდა უფრო მას შემდეგ, რაც მისი ცოლი—უესო ერას შეიღო, —რომელიც სიკვდილამდე უფარდა, რადგან მისეხებით განშორდა...

ჭალა უფელსაცან განმარტებული დაწნა... „რწმენის სიმბოლოთა“ განმარტებული ქარიშხალი ჭალასაც მოქდა. სულს დათავდა ტან-უფლი გმირი, მაგრამ თავის ღვაწლს მაინც არავის აყვედრიდა—ეს იყო მისი ხასიათის მძლეთა-მძლეთა, აქ იყო მისი სამართლიანი მამულობა, ამაჟი სამართლიანობა და იმედით განმარტებული სული მისი მანის სჯქქდა: „მკვდები, მაგრამ ჩემში განმარტებული რწმენა დეტრფობა კაცისა, საქმისა და სიყვარულისადმი მარად იცოცხლებს“...

და ხალხი მისი მართლაც ფრთხას შეღის...

**მის, კიაზოშვილი**

**უჭატრონი**

— მანიკო, მანიკო, შენ გენაცვალე გამილე კარი, გავიყინე... საშინლად ჰყინავს... კარი გამილე, კარი...

— ვინა ხარ, ამ შუა ღამეს, ვინ? ავი სული თუ ხარ, აქ რა გინდა? — მოისმა ბნელი ოთახიდან ქალის ხმა.

— მე ვარ, შენი დათიკო, გესმის — დათიკო!

— დათიკო?!.. დათიკოს აქ რა უნდა, ის ხომ შორს, ბრძოლის ველზე და სისხლს დგრის.

— რა დაგემატა, ქალო, ველარ მიცან? მოისმა კვალად ნაცნობისებური ხმა.

— იქნება მართლა ღმერთმა მომხედა და ველირზე ქმრის დაბრუნებას?! — სთქვა ქალმა და კარი გაუღო.

შემოვიდა ვიღაც უცხო კაცი.

— შენ... შენ ხომ დათიკო არა ხარ? — შეპკვილა ქალმა.

— სუ, ნუ კვიე, ქალო? შენი დათიკო მოპკლეს, მის მაგიერ მე ვარ და... აწ ჩემი იქნები, ჩემო გვორტო, ჩემო ლამაზო...

— არასოდეს... შესახა ქალო, მაგრამ უცნობმა მძლავრად მოპხვია მკლავები, გულს ჩაიკრა, საწოლზე დასცა და...

ქალი კარგა ხანს წინააღმდეგობდა, რამდენიმე სილოც ვაფწა, მაგრამ განხეცებულმა კაცმა სძლია, სურვილი დიკმაყოფილა...

გონება მიხილ ქალს ჯოჯოხეთად ეგზნებოდა ბრძოლის ველი, მამულისა და მეფის სამსახური, შერცხვენილი თავი, ქმართან პირ-შობა და სხ...

— ვაჰმე, უბედურს, — წამოიძახა ნამუს-ახლიშმა ქალმა, გარეტინებულივით წამოხტა და ოღნავ გასაგონად წაიფურწა: „მშვიდობით, დათიკო... თუ ოღესმე მოხვიდე, შონახე იქ, იმ ტბას ძირას, რომლის ნაპირზედაც არაქრობენ ერთად დრო გვიტარებია“ ..

მეორე დღია აღრიანად სამი პატარა ბავშვის წიოკობამ შესძრა სოფელი, აცნობეს მამასახლისს. უპატრონო ბაღლები მეზობლებმა შეიფარეს, მათი დედის ახალ-დასავალი კი ვერ გაიფეს: „რა თავ-დაჭერილი ქალი იყო და შეხე — ვე უნამუსო თუ ვისმეს გაჰყვამო!...“ იძახდენ ზოგიერთნი.

**ა. ორიპიელი**



\* \*

კენესის სიოცხლე, კენესის სამყარო, ჩაგრულთ ცას ჰმურავს ნისლი შავ-ბნელი; სისხლად ინთხევა სიოცხლის წყარო, თავს დაგეტრიალებს სიკვდილის ცელი..

სძინავს მინგრეულ მაშვრალით სოფელსა, დემონი ხარობს ქვეყანაზედა, მხოლოდ არ სძინავს ცრემლების მღვრელსა დაჭრილ-დაკოდილთ ბრძოლის ველზედა!..

ოჰ, რომ შემეძლოს შევსცვალო კენესა შეგებად, სიამედ და სიხარულად, მაშინ უფერულ ჩემ სიოცხლესა მყის გავსწირავდი ძმისთვის გმირულად!..

**ბ. ვარდოშვილი**



# ქართველი ორდინასტორი-ქალი



თამარ თავ. სიმონის ასული აბაშიძე

ქართველი ქალი თანდასთან იფართოვებს მოქმედება-მოღვაწეობას ანხარეს.

ქართველ სწავლულთა გუნდს კიდევ ერთი მიემატა და ისიც — ქალი!

ჩვენის კორესპონდენტისაგან ფრად სსსა-მოგონებებს მივიღეთ: ხარკოვის უნივერსიტეტის თურანეტიკულ კლინიკაში სასტატო ორდინასტრად მიიწვიეს ჩვენი თანამემამულე — თავად სიმონ აბაშიძის ასული თამარა.

თამარი ზემო ჭავჭავაძის (გორის მპ.), ჯერ სულ 25—26 წ. პირველად წვეულებითი და საშუალო განათლება მიიღო თბილისის ქალთა ინსტიტუტში; თბილისშივე, ნეფთანოვის სკოლაში, შეისწავლა კბილის ექიმობა, კურსის გათავებისთანავე ხარკოვის გაემეჯანვარ და სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა, სადაც, ხუთის წლის სწავლის შემდეგ, ხუთსიდან ერთმა პირველ ხარისხით დაამთავრა უმაღლესი განათლება. სწავლის განაგრძობისთანავე იქვე დასტავდა ასისტენტად ფარმაკოლოგიურ კათედრაზე, ერთი წლის შემდეგ კი, ე. ი. ახლანაზნარცხეს სახელმწიფო სამსახურში (რის მაგალითიც დღემდე არა ფოფიდა) და, როგორც ვსთქვით, დანიშნეს ხარკოვის უნივერსიტეტის კლინიკაში თურანეტიკულ ნაწილის სასტატო ორდინასტრად. ეს ფრად სასურდადღებო მოაღწანა: ვაჟთა უნივერსიტეტის კლინიკაში ქალის მასწავლებლად დანიშნა პირველი შემთხვევაა. როგორც შევეტკუთ, უფრო იმიტომ მიუწვევიათ ქანი თამარი სპროფესორთ კათედრაზე, რომ ასეთი გზით იქვე, რუსეთშივე დაეტყუებინათ: პროფესორებს თურმე დიდი იმედო აქვთ მისი ბრწინვადე მომავალისა.

ჩვენმა პატარა, მრავალ ვაჟებს და ტეტხლ-ში გამოვლიდმა, სიმშობლომ არა ერთი და ორს შეესანიშნავი პირი შესძინა დიდს რუსეთს სამხედრო თუ სამეცნიერო ანხარესზე, — დღეს ამთ ემატება ნიჭიერი და მუყაითი ქართველი სწავლული ქალიც — თამარ აბაშიძე, როგორც ადვინიშეთ, პროფესორთა მოწმობით, დიდი მომავალის მომედე...



თამარი მევლადიანის დროს (გალაღმებელია სწრაფი ფოტოგრაფიით) დიდი მოღვაწეობა შეტანიერებისა და სამშობლოს სადადებლად. ექიმი შტოკმანი

ეს ამბავი სამით გვეყვება გულის, მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ, თუ დიდას რუსეთისათვის არაინსტიტუტის ნიჭიერი სწავლული, მით უმეტეს საწიროს ჩვენი პატარა სამშობლოსათვის...

და ბრწინვადე დამდებ ტეირგვირეულოუს ქან თამარა აბაშიძის სამსწავლულო მოღვაწეობა შეტანიერებისა და სამშობლოს სადადებლად. ექიმი შტოკმანი

## მ თ ი უ ლ ე თ ი ს ქ ვ ნ ს ა

დილა გათენდა ტიალი, რა დილა, — კვენსა ისმოდა; გზაზე ვიხედე, ძმა ბიკის მოთქმა გულს ლახვრად ისმოდა: — ბიკო, რას სდგახარ, ტიალი, იღვარე ცხარე ცრემლითა: მთებმ დაიხურეს წისლები, გული გაგვიტყუებდა გრდემლითა!.. ძოლანის ვარეთ გამოვდე, ვადმოძახხეს — ჩე რძელუთა: — ბიკო, ვაჟი მომკვდარა, ვეჟაკი, თვალი რჩეულთა! ვაჟმე, რა გვიყავ, ვაჟო, რისთვის დავგვიორე ოზლათა; გულს რო ლახვარი დავგვარტყი, ვინ გვექმნეს ჯაერის მიხრობლათა?!

მ. კაიშაური

# ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი

## უ მ წ ე ო ო ჯ ა ს ი

საწყალი ქვრივის ქობახი ჩაფიქრებულა მწარედა,  
ჩაფიქრებულა და ბაღებს უმზერის მგლოვიარედა.

ჰშიანთ დაძინდილ პაწიებს, ჰშიანთ დედიკოს გვრიტებსა;  
სტირიან, მოაწვიმებენ ცრემლების მარგალიტებსა.

გამწარებული მშობელი დაძრწის სხვის ეზო-კარზედა,  
დაძრწის და ლუკმის თხოვნაზე ცრემლი ერევა თვალზედა.

ცრემლი... სულ ცრემლი... მეფუფე! რად არ მოჰხედავ ობლებსა,  
რად არ მოუსმენ ვაებას ქვრივ-ობრად შენიღო მშობლებსა? .

გაყრუებულა მიდამო, გარინდებულა ქვეყანა  
და ხალხის კენესა-ვაება წყევალ გაისმის ყველგანა!

### გ. ქუჩიშვილი

## ა უ ხ ს ნ ე ლ ი გ ა მ ო ც ა ნ ა

—აბა, მითხარ, რად გიყვარვარ, ან რა არის სიყვარული,  
ან მე ხოლმე უშენობით რად მიკრთება ხშირად რული?—  
შორს მყოფს ფიქრი არ მასვენებს, შენს ახლო კი მიპყრობს სევდა,  
გულში რაღაც შეეპარა,—გულით რაღაც გამოიქვდა!—  
შენ კიდევ ხომ უცნაურად ჩამოსდნი და შეიცვალე ..  
და ეგ არის სიყვარული?— მითხარ, მითხარ, გენაცვალე!..

ასე მკოზხე და საყვარლად გამოიყარე თვალში თვალი,  
გული ცეცხლით ამითრიაოლე, გული ისარ განამსქვალი...  
მე უფიქროდ ვმღუმარბდი, თვალი შენთვის მომეწებნა  
და ვიდექი—საპასუხოდ სიტყვა ველარ მომეებნა!—  
ან რა მეთქვა როს სიყვარულს მე ნამდვილად განვიციდი,  
როს გული შენ მოგთავაზე და შენგანაც გულს ვუციდი?!.

და შეირბა ამ დროს ვარდი—მთერალი შენის ტრფილითა—  
და ორივეს წაგჭურჩულა იღუმალის შრიალითა:  
—სიყვარული თვით ღეროებმა შექმნეს ჩემის ეშხისგანა,  
და სახელად უწოდეს მას აუხსნელი გამოცანა...—  
მეც მივითხავს—რაა ტრფობა?— პასუხი მეც მიძებნია,  
მოლოდინში ჩამოვმქნარვარ და ფოთლები დამცვივანა!—  
თქვენც შე შეგეხართ, თქვენც გაღელვებთ ფრთა გიგინა ტრფობის ალი,  
ფრთხილად, ფრთხილად—არ გესტუმროთ სუსხიანი ქარიშხალი!..

სატრფოვ, ახლა ჩვენ შორსა ვართ და სიჩუმე გემოციქულობს,  
ჩემი გრძობა შენს ფიქრებში ალბად აღარ გაზაფხულობს!—  
ეს გული კი მოგონებამ ცრემლით ბევრჯელ ჩამოჰბანა;  
ვაჰ თუ შენში უკვე ახხდა აუხსნელი გამოცანა?!...

### ბ. ფაშალიშვილი





# ო რ ი ხ მ ა

(ნიშნად ღრმა მადლობისა ვუძღვნი პრომეთეოსის მგოსანს დეტუ მერგელს)

ღამეა. შავი უძრავი სუღარით დაუფარავს ქვეყანა ჯოჯოხეთურ სიბნელეს. ცა მრისხანედ შექმუზენილა და დაბურულა ღრუბლებით. ბნელ ცივ კიდეზე სწრაფ იკლანქებიან და ირევიან ელვის გველები. ხანდისხან ძლივს მოისმის შორიდან რალაც უცნაური გრილი, რომელიც სიმწარის კენესად ეღვება ქვეყნის სივრცეზე. ღრმად ჩასძინებიათ კავკასიონის მწვერვალებს ღრუბლების საბნის ქვეშ, მხოლოდ იალბუხი და მყინვარი, შეუბოვარნი და ამაყნი, ლამობენ შიბაჯინონ თეთრი თავები ცის სივრცეს, რომ მუდამ ეთამაშონ მთვარეს და ვარსკვლავებს. რალაც არა ჩვეუ-

ლებრივ დუმილს მისცემია ქვეყანა; ღრო-გამოშვებით ისმის დარიალის უფსკრულიდან გაფთრებული თერგის შხუილი, რომელიც ეღვება მთა-კლდეებს, თანდათან სუსტდება და ბოლოს სადღაც შორს იკარგება სიბნელის ზღვაში. არ ისმის არავითარი სულდგმულის ხმა. ამაოდ დაეძებს თვალი მთების კალთებზე მბუტბავ სინათლეს თავ-ხარ-დაცემული მიმალულა ყოველი, თითქოს ქვეყანა წამისწამ მოელის უბედურებას... უფრო ხშირად სერავენ ცის კიდეებს ელვის გველები და იკარგებიან ღრუბლების მორგეში.

..... უცებ საიღიდანაც მოისმა ხმა:

საუკუნე საუკუნეს მისდევს,—მირბის უთვალავი, მაგრამ ქვეყნად არ სჩანს შუქი ცეცხლის ზეცით მონატანის; არ სჩანს შუქი სინათლისა — სიბნელეა დაუძრავი, — ცეცხლი კაცმა მოიხმარა დასარბევად ისევ კაცის! და ამისთვის განა ღირდა განრისხება შენგან ღვთისა? ღირდა გეცნო ეს წყალობა, რომ არ ცოცხლობ, არც ხარ მკვდარი? მოინანე— შეგიწყნარებს, მ-გიტყვებს შეცოდვილსა; მხოლოდ ზეცას დაუბრუნე ცეცხლი, შენგან მონატანი...



მ გოსანი გ. რუხაიძე ავადმყოფობის ვაჟი.

შესწყდა ხმა. კვლავ ჩამოვარდა დუმილი, რაოდენიმე წუთის შემდეგ ქვემოდან, ბნელ უფსკრულიდან, მოისმა ჯაქვის ჩხარუნინი. ვიღაცამ იქ ღრმად ამოიხობრა, დაიკენესა, და ამასთან ერთად ღრუბლებიან მწვერ-

ვლიდან სახარი წივილით გადმოეშვა ძერა, ისარივით გააპო სიბნელე და ჩავარდა იმ უფსკრულში. კიდეც რაღდენჯერმე მოისმა კენესა, ჯაქვის ჩხარუნი და ბოლოს სუსტი ხმა:

უსაზღვროა ჩემი ტანჯვა... ჩემი სისხლით გაძღნენ კლდენი... ტანსა ხანჯი მომეკიდა... მხრები მწყდება მძიმე ჯაქვით; და ეს ძერა, რისხვა ღვთისა, ზეცით ჩემზე მონაყენი, მკერდს მისერავს, გულს ნიწიწკნის, ძღება, ტკბება ჩემი სისხლით. მაგრამ არა; არა ვნანობ და არც ვითხოვ შებრალებას! ნუ გვონია, ჩამქრალიყოს ცეცხლი, ჩემგან მონატანი. თუ ღღეს ცეცხლი ჯოჯოხეთის მოსდებია მთელ ქვეყანას— ცის ცეცხლიცა აინთება, და ვნუგეშობ სევდიანი. ველოდები იმ ნეტარ ღღეს— გათენდება მშვენიერი, და გაჰქრება ეს სიბნელე, მოვლენილი ქვეყნის სუღარად.. მაშინ ერი ბედნიერი მეც დამიხსნის მადლიერი... ავიღ ცაში და მოვიტან ვარსკვლავს ქვეყნის შესამკობად...



ახალგაზდა მგოსანი გელა, ასტრანხანს გადასახლებული. ამ ვაზად ავაღაა.

..... შესწყდა ეს ხმაც. ცის შუაგულს მოცალა ღრუბლები, და უძირო სიღრმიდან სიყვარულის ღიმილით გად-

მოხელა ქვეყანას კოკლუცმა ვარსკვლავმა...  
**გაბრიელ გოგუაძე**

# გელი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად  
(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 50)

## IV

იგინავე, ჩინოვნიკის გარდა.

**ზაზა.** ეს ჩინოვნიკი ხერის არ დავეყურის, ლაპარაკში შევატყე!

**გივი.** ბატონო ზაზა! რა უცნაური კაცი ხარ, ლმერთმანი, აგრე რად ელაპარაკებოდი?

**ზაზა.** მაშ შენის აზრით როგორ უნდა მელაპარაკა?

**გივი.** ჩვენზედ ხომ ახლა ექვს რასმე აიღებს.

**ზაზა.** რა ექვი უნდა აიღოს, რას ამბობ?

**ნინია.** ვერ მიხვდი, რა კილოთი გელაპარაკებოდა და როგორ გვათვლიერებდა?

**ზაზა.** იპ, კარგია ერთი! არც გვათვლიერებდა და არც არაფერი!

**ნინია.** შენ რომა სთქვი, ჯერ ვინ იცისო, კარგად ვათავდა თუ არაო. აგრე როგორ შეიძლება, აგრე არ უნდა გეტყვა!

**ზაზა.** ეგ შენი დარიგება შენთვის შეინახე, შეილო, ბოლოს გამოვადგება, თორემ ინანებ! შენ ჯერ ჩემი ქალარის დრომდის მიღწეი და მაშინ სულ სხვას იტყვი!.. რა გემის?... ჩემ სიცოცხლეში ბევრი მინახავს და ბევრიც გამოიგონია, კეთილი კი არსად არ მინახავს... ეჰ, შეილო, ჩემ თავზე მხოლოდ წისქვილი არ დატრიალებულა, სხვა კი ყოველივე გამოიცილია!..

**ერეკლე.** (ნინიას) შენ ქუას ძალას ნუ ატან, შეილო, თორემ დაიღლები!.. შენ გემის საქმე? ჩვენ დავრჩით უშეფოდ და უცხო მეფე ჯერ ვინ იცის როგორ შემოგვხედავს და როგორ მოგვეკიდება, ეგ მარტო ლმერთმა უწყის?

**ნინია.** ჰმ!.. შენი არა გემის რა!

**ერეკლე.** ჩემი თუ არა გემის რა, მაშ რას მემუსიფებ... ჩემად იყავ და იყავ შენთვის!

**ზაზა.** (ნინიას) შენ, ყმაწვილო, მსჯელობაში ფიცხი ნუ ხარ, წაბორძიკები როგორმე და ცხვირს გაიტეხავ! ყური მიგდე,

რას გეტყვი!.. ახლავე წადი სასახლეში და ოთარ ამილახორი ჰნახე და ჩემ მაგიერადა ჰკითხე: ქალია თუ ბიჭი-თქო? თუ სთქვა— ბიჭიო, მაშ საქმე გარვიდა და თუ სთქვა ქალიო— მაშ საქმე არ გარვიდა! გემის? და წამსვე წამოდი და მომიტანე ოთარის პასუხი... ახლა წადი! მაგრამ, მოიცა! იქ თუ დაგიწყეს ჩვენზე რამე ლაპარაკი, უთხარი, რომ აქა ვართ, სიონში, რადგანაც დღეს ჩვენ ახალს ცხოვრებას ვიწყობთ, წარსულ დროის ჩვენს ცხედრებზე პანაშვილის ვადანხდის ვაპირებთ. ასე უთხარი. დღეს ჩვენ ქირისუფლები ვართ! გემის? ჰა, ფრთხილად იყავ, იქ მეტი არა წამოგცდეს ხარ, ცოტათი მეტიჩარა ხარ, როგორც ვატყობ, ყმაწვილო!.. ახლი წადი, ნულარ აგვიანებ!

**ნინია.** ბატონი ბძანლები, ქუას გზაში არ დავფანტავ! (მადის)

**ზაზა.** დაჟფანტავ და კაი თავთუხებიც ამოვა, შენმა მზემ! (იოსებს) შენ, ყმაწვილო, აქ მოდი ახლა შენ უნდა წახვიდე!.. წადი სასახლეში, ბაგრატა ციციშვილი ნახე და უთხარი, მარიამ დედოფალთან მივიღეს და მიახსენოს, რომ თუ შეიძლება, დღესვე ჩვენ, ვინც ახლა აქა ვართ, ცალკე გვინახულოს, ბაგრატის პასუხი საქაროდ მომიტანე! (მადის)

**ერეკლე.** ზაზა! ეგ კარგი შიკრიკი ამოგირჩევი?

**ზაზა.** ჰო, მე და ჩემმა სულმა, რომ ცქვიტნი არიან!

**ერეკლე.** აბა, ბატონებო, დროს ტყუილად ნუ ვკარგავთ, საქმეზედ მოვილაპარაკოთ.

**ზაზა.** ბაბა-ხანის განზრახვა ხომ შეტყობილი გაქვს! რუსთა ჯარი დავიხსნის კი იმის აკლებსაგან? მეტად განრისხებულია კოვალენსკიზე, რომ იმისი ელჩი ისე მოულოდნელად და უპასუხოდ გაავლო.

**ერეკლე.** ხმა დადის, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ძალას ატანს ერეკნელ ომარხანს საქართველოში გამოლაშქრებაზედ.

**გაღვივან.** ერეკნიდან ერთი აქოური მოქალაქე ვაჭარი მოვიდა და სთქვა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი აპირებდა ომარ-ხანით საქართველოში შემოსევას და რომ შეიტყო



რუსთა ჯარის მეორე პოლიცი ჩამოვიდა თბილისს, ბაბა-ხანს ატანს ძალას, რომ ერთად დაგვეცნენ თავს.

**პირველი მოქალაქე.** დიახ, ბატონო, მართალსა ბძანებ, ის მოქალაქე ჩემი ბიძაშვილია და იმან მოიტანა ეს ამბავი. ბაბა-ხანს და ომარ-ხანსა სულ სამოცი ათასი კაცი ჰყავთ ლაშქარშიო.

**ზაზა.** სამოცი ათასი? კარგი ყოფილა, ჩემმა მზემ! ბაბა-ხანი არ დასტოვებს ისე ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანის შერცხვენას და მგონია, რომ დიდს უმედურებას დაგემართებს!

**ერეკლე.** ეგ სულ ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანის მეცადინეობაა.

**გედევან.** აბა, რა თქმა უნდა, იმისი საქმე იქნება, მაშ ვის?

**არჩილ.** ღმერთო ჩემო! როდის მოისვენებს საცოდავი საქართველო, როდის მოისპობა სისხლის ღვრა?!

## V

იფინივე და ბაგრატ ციციშვილი.

**ბაგრატ.** ახალი ამბავი გინდათ, თუ არა, ბატონებო?

**ერეკლე.** აბა ერთი გვითხარი, რა ამბავია?

**ბაგრატ.** პეტრებურდიდან ამბავი მოსულა, რომ ხელმწიფის უმაღლესის ბრძანებით ვეზირი კოვალენსკი გადაიყვანეს აქედან,

**ერეკლე.** ეგ დიდი ხანია მოსალოდნელი იყო.

**ზაზა.** რათა, ბატონო ერეკლე?

**ერეკლე.** რათა და, კოვალენსკი და ლაზარევი ვერ შეთანხმდნენ ურთიერთ შორის. კოვალენსკიმ გულიაკოვის პოლიტიკა სიამადაა უფონი და გავზავნა ლეკებზე, ოსებზე და ზოგიც საგურამოს და...

**ზაზა.** ეგ ამბავი, ბაგრატ, ვინ გითხარა?

**ბაგრატ.** აი, ეს არის სასახლეში ნაღიმზედ იყო ლაპარაკი, პეტრებურდიდან კურიერი მოვიდაო.

**ზაზა.** ეგ კურიერი რაღაა?

**ბაგრატ.** არ ვიცი, შენ არ მომიკვდე, ჩვენებურად შიკრიკი უნდა ვუწოდოთ.

**ზაზა.** შერე და ამ ორს მთავრობის წარმომადგენლებს რა მოუვიდათ ისეთი, რომ...

**ბაგრატ.** რა მოუვიდათ და ისა, რომ კოვალენსკიმ მოინდომა რუსთა ჯარების უფროსობა და ღენერალი ლაზარევის დაქვეითება; მოიწადინა მარტო-მარტო საქართველოს გამგებლობა და მართვა, სხვის დაუხმარებლად, გიორგი მეფის სიკოცხელშივე და რაც ბატონიშვილს დავიჯს შეეხება, ამას ხომ ჩვენ ყველანი ცხადათა ვხედავთ, როგორც დაიმორჩილა. ლაზარევმა უჩივლა, რომ კოვალენსკი იმის სამხედრო საქმეში ერევა და რომ პეტის-მეტად ხელს უშლის ჩვენს მთავრობის ახალ წევრთ: ზაალ ბარათაშვილს, ეგნატე და სულხანა თუმინიშვილებს. იოანე ჩოლაყაშვილს და დარჩო ბეგუთაშვილს, რომ ესენი გადაყენებინათ და თვითონ მარტოკა დარჩენილიყო. ამ ჩვენმა თავადებმაც იჩივლეს და პეტრებურდში იმათ საჩივარს ყურადღებას სრულებით არც კი მიაქცევდნენ თუ რომ დავით ბატონიშვილს და ღენერალ გულიაკოვსაც, თავის მხრით, არ ეჩივლათ. ამ რიგად შეიწყნარეს ეს საჩივრები და თავი და თავი მიზეზები იმის გადაყენებისა ის არის, რომ ჯარებისათვის დამზადებულ საკლავ საქონელს ბაზარში ჰყიდდა თავის სასარგებლოდ და ხორცის მაგიერად ჯარს დამპალს დოშს აქმევდა. ამზედ იჩივლეს ჯართა სხვა და სხვა უფროსებმა.

**ერეკლე.** ჰე! ახია იმაზედ! აგრე ურჩევნია!

**ბაგრატ.** ახლა, მოისმინეთ ჩვენთვის სხვა, უფრო სამწუხარო ამბავი. ლეკები კახეთისაკენ მიდიან ასაკლებად. აწყვერშიაც განხდნენ ლეკები. ქართლში და საგურამოში ოსების ბრძოლები დათრეშობენ. იმათ დასამარცხებლად ხვალ კაპიტანი კრიტსკი მიდის, პოლპოლკოვნიკი სოლონეიუსი და ისაკაფი. ამ რიგად რუსთა ჯარი რამდენსამე ნაწილად იყოფა. ბატონებო! ჩვენ გულხელ დაკრეფილი კინუ ვიქნებით, ჩვენც უნდა დავეხმაროთ რუსეთის ჯარს. წავიდეთ ღენერალ ლაზარევთან, ის გავცნობებს ყველაფერს დაწერილებით და დარიგებასაც მოგვეცემს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ საქართველოს დაცვაში მტრის შემოსევისაგან.

**ზაზა.** რა დროს ეგენია, რასა ბძანებ!



ჩვენ აქ სულ სხვა საქმე გვაქვს. დღეს ხმა გავარდა, რომ ჩვენს ბატონიშვილებს ყველას დაბრუნების ნება მიეცათ და ეს ამბავი კარგს არას მოისწავებს. ისინი თუ დაბრუნდნენ, აირვეა აქაურობა უთანხმოებით.

**ერეკლე.** მართლა თუ დაბრუნდნენ ისინი, დღეს შფოთს მოახდენენ.

**ზაზა.** ბატონებო, ჩვენ ერთად უნდა ვიმოქმედოთ!

**ჟველანი.** ერთად, ერთად, უეჭველია, უეჭველია!

**ზაზა.** ბაგრატ ციციშვილი! ბატონიშვილს დავითს მოახსენე, რომ ჩვენ აქ საათობირო რამ საქმე გვაქვს და ან აქ მობძანდეს, ან დაგვინიშნოს ადგილი რამ და ჩვენ ვეახლებით იმას.

**ბაგრატ.** რას ამბობ, აქ რალს მოვა, ვეზირმა ისე ჩაიგდო ხელში, რომ ახლა მარიამ დედოფალთან მიდიან.

**ზაზა.** მარაოლა?.. შენ ჩენი კაცი არავინ მოგსვლია?

**ბაგრატ.** არავინ არ მინახავს.

**ზაზა.** იმ ჩვენ იოსებს უყურეთ ერთი, რომ დაბარებული სიტყვა ბაგრატთან არ შეასრულა?!

**ბაგრატ.** ჩემთან რა დაბარე?

**ზაზა.** დავაბარეთ, რომ მარიამ დედოფალთან მისულციავი და მოგესხენებინა, რომ დღეს საიდუმლოდ გვინახულოს.

**ბაგრატ.** ძალიან კარგი, მოვახსენებ.

**ზაზა.** შენ ამბობ, რომ დავითი მარიამ დედოფალთან მიბძანდებოა?.. ჰმ!.. ბაგრატ! შენ ისეთი კაცი ხარ, რომ არ ვიცო, შეიძლება გენდოთ თუ არა? შენ ხან ჩვენსკენა ხარ, ხან იმათკენა.

**ბაგრატ.** ჩემს ნდობაზე, ბატონო ზაზა, ექვს ნუ შემოიტან, ეგ ჩემთვის დიდი შეურაცხყოფა იქნება და მე რომ იმათკენა ვარ, ვარ იმიტომ რომ ვატყობ, ჩვენ უიშაოთ ვერ ვივარგებთ და თუ ვივარგეთ როგორმე, მე, თქვენი ყურ-მოჭრილი მონა და მოსამსახურე ვარ.

**ზაზა.** მაშ კარგი! მოდი ერთი ძმურად გადაგხვიო! (აკრებს) აბა, ბატონებო, ერთი კარგათ მომისმინეთ რასაც გეტყვით და

როგორც საერთოდ გარდასწყვეტათ,— მეც თქვენთანა ვარ.

**კ. ვიფიანი**

(გაგრძელება იქნება)

## გ ა ნ ც ღ ა

(გაგრძელება. იმ. „თ. დ. კ.“ № 50)

8

მას შემდეგ, თითქმის წლის თავზე...

შუა ღამეა...

ილოსა და შუშანას უზომო აღერსში ჩაეძინათ...

მაგრამ შუშანა უცნაურმა სიზმარა გა-  
მოადგინა. — გველი!.. დიად, გველი.. აი, ამ  
კარებიდან, თითქო გველი შემოსტურდა...  
— იგონებდა იგი. — გვონებ, ყელზე... — ხე-  
ლი მოისო, ხილბანდის ყური შემოხვეოდა,  
— „საწოლში... ვგონებ საწოლში...“ და სუ-  
ლი განაბა, მთლად სმენად გარდაიქცა.

— ილოს... ილოს შემოეხვია?!

უეტრად წამოიძახა, რა მისი ჩუმი ფშვინ-  
ვა ხრიალად მოესმა, და ხელი მოუსო ილოს  
კისერსა, ვით მეგობარმა, დასახსნელად დღით  
ნამუშავარს, შემდეგ შუშანას აღერსით დამ-  
ტკბარსა, ილოს ცკბილად ეძინა, რომელსაც  
შუშანამ — გენაცვალე... გულში გავლებით  
შესთავაზა და, ამ ეამად, მკრთალ ტურნებით  
მიუაღერსა.

— ვაიმე, აკვანს... ჩემ ბიქუნას შეუ-  
ცურდა?! წამოიძახა შუშანამ, ზეზე წამოხტა  
და, ვით აფთარი ლეკვისა მხსნელად, შვილის  
აკვანთან ისე მიიჭრა. აფერ, აკვანი კერასთან  
პაპიდის გვერდითა; ილოს მამიდა მას არ იშო-  
რებს ღამღამობითა, შიგ ჩაკრულია ბავშვი  
სამის თვისა, ნაყოფი ილოს და შუშანას სი-  
ყვარულისა.

პირს საფარი გადახდია, ვგონებ თვით  
მოუღლეჯია; მარჯვენა ხელი არტახიდან გა-  
მოუღია; ფუნჩულა თათი მოუკუმშია და სა-  
ლოკავად მიუტანია.

ბავშვს მშვიდთა სძინაე! — საღათ ფშვი-  
ნავს. იგი ჯანსალია, ვითა ნაყოფი სიყვარუ-  
ლისა; და კირკიტა, ვით ნამყენი სხვადასხვა  
ჯიშზე, შვილი სოფლისა.

— შენ გენაცვალოს მშობელი დედა!..

შუშანამ მიუაღერსა და პირთან ძუძუ რა





მიუტანა, თვალყურმდევნელ დარაჯ მოხუცმა დარიგებით შენიშნა:

— არ უნდა, შევილო! ღამე ნუ დაჩვევ ძუძუსა...

— რა ვიცი, მამიდა, მგონია ზიან; უკუ-რე თათი პირთან მიუტანია..

— ეგ შევილო, ვით ცოხნა, ქორფის ლოღნა.

სწორედ ამ დროს მთვარის შუქი მოსწყუ-და დარბაზიდან; სანათურის ადამიანის ჩრდი-ლი მოადგა, რამაც ლაპარაკი შეაწყვეტინა და ორივე მაღლა აახედა.

— ილო, ჰა, ილო! — მოისმა მაღლიდან ხმა, თუმცა ნაცნობი, ხოლო არა ჩვეულებ-რივი კილოიანი, უფრო ნაღვლიანი. — ადექ... გორიდან მოსულნი ჩხრეკენ შენს კარმიდამო-სა... ილო წამოიჭრა, კარები გაღო.. შე-მოვიდნენ, გათენებამდე ჩხრეკდნენ... ყოვე-ლივე მთლად გადააბრუნეს; შუშანას დედ-სა-გან მოწყრილი წვრილები შეპკრეს. ილოც თან წაყვანეს.

— არ შეშინდე... — ანუგეშა შუშანას ილომ, რა მოიხედა კარებიდანა; გადახედა ბავშვსა, რომელიც აკვანში სტიროდა, თით-ქო ისიც მამის დამორებასა გრანობდა. — მამიდა გაუფრთხილდი..

არც კი აცალეს ილოს კიდენ მოეხედნა, უბრძანეს: წინ გასდლოლო

წავიდა ..

მას შემდეგ არა თუ იგი იხილა, არამედ ნამდვილიც ვერა გაიგო-რა.

9

შუშანას საყვარელი არსება მოაშორეს. მისთვის ილო შეიშურეს, გულიდან მოსწყუდა რაც მას სიხარულს ჰკერიდა.

ადამიანს მისი ბედნიერება შეშურდა, ხო-ლო ბუნებამ იგი არ დაივიწყა და იმედი და-უტოვა.

— აი, ბიჭიკო... ილოა, სწორედ მისი პირმშოა...

ამას შუშანას ხშირიდ იმეორებს, მით დამ წვარ გულს იჭარვებს.

მამა შუშანას ხშირად დედის პირით უთ-ვლიდა: — შევილო, რაც მოხდა, მოხდა .. ეხ-ლა მოდი ჩვენსა; ეგ ბიჭიც ტრეტრეტრას მოგა-ნათვლინოთ და, რა უკუთ, გავზარდოთ, შენც

იყავი რაღა ჩვენსა... — ხოლო შუშანა არ თანხმდებოდა და ილოს მამიდას არ შორდებოდა. მერე-და იგი განა ეგრე ადვილად გან-შორდებოდა იმ ადგილს, სადაც ილოს სი-ტკბოება უგემოა, შეუესია და მით ნაყოფი — ყოველი მომავლის იმედი წარმოუშვია?

— არა, გენაცვალე, სადაც დაიბადე, იქ ვ აღზრდი ..

ამით საზრდოებდა...

10

ამ გატარებულ ღღეშა შორის, კარგად ახსოვს, მამიდა ვენახში იყო საღამოს.

შუშანა ბავშვს დასტკერის, მას დაძახა-რის, რო კარები შემოიღო..

და მერე ვის ხედავს...

— შენ აქ?!... — წამოიძახა შუშანამ და, ვით არწვი, გადაეფარა თავის შვილსა.

— ჰო, შუშანა... — წილილულულა არ-ტემამ მოჩილად, — მე აქ...

— მერე, რა გასურს?!

— შენი .. შენი...

— შენ, რომ პატროსანი იყო აქ არ მო-ხვიდოდი...

— ღმერთმა იცის შენთან არა სამტ-როდ... მე შენ... რა ვქნა, შუშანა! — ღმერ-თია თავდები, მიყვარხარ .. აი, ეგ ხომ ჩემი არ არი... მაგრამ მხოთა ვარ ვიშვილო... ოლონდ, შენ, შენ...

— გასწი! გასწი იმავ გზით! აქ შემოსე-ლა აღარ გაბეღო!

— წავალ... კარგი, წავალ... მაგრამ, შუ-შანა, იცოდე კარგს არას გიზამ...

არტემა გავიდა.

ხოლო შუშანა ბავშვს მიუბრუნდა, ვი-თა ხილოცავს, მანუგეშებოდა...

**ს. გლახაშვილი**

(დასასრული იქნება)

**ფ უ რ ც ლ ე ბ ი**

II

**ოსკარ უაილდი**

„მარგალიტი ჩემი სულისა ჩავადეღე ღვინით სავსე თასში. და მივდიოდი გზაზე, რომე-ლიც იყო მორთული ყვავილებით შე-გსულდგმულობდი თავილითა და ყურს ჩამ-ძახოდა საღამურო“

ის, რომელიც ჩემის სულას საყვარულს შეაბეგეს; — დამის შეტყობი იყო. ის იყო სხვა



უფლის წყვდიადით მოცულ თქვენზე. ჭო, და... მან გაიფიქრა და გაჭქრა უტბად... სად წავიდა? —  
 თ, ნუღარ შევითხებით... არ ვიცი, არა... მის ვერ  
 გახეივტებ საძუღამო დაფიქვბად, რადგან იგი  
 მიუყვან და ჭერ არას ისე ენ გაუტრინივარ, რა-  
 ვივრ მის სიხვისან შანდალაქებს...

სახე მისი მიღება თვალწინ მამხნ, როდეს  
 სან განითადის იურა განახლებ ვარდისფერ ცა-  
 ზე, ხოლო მისი ძახილი შესმის, როცა დამის  
 სიღრმეში შეირხევა თერთი მეტრორა. ამბობენ  
 იგი უკვდავია, ხოლო მე ვამბობ: მას არ ვსურ-  
 და უკვდავება დაბიანის, რომელიც ფაქრით მი-  
 წას ვერ ასცილებია. მას ქსურდა ანგულისის  
 უკვდავება, რათა დამტბარაიო მხოლოდ რქროს  
 ფრთხან სიღამახით...

ის, სიღამახის მოკვე იყო...  
 მან მოთხრა, ცხოვრების უკვდავ გან სილი-  
 ძახის რომში მიგვიყვანს. „...და იყო სიღამა-  
 ზე და იგი სიტუა იყო მშვენიერება! — სწერ-  
 ია მის ლურჯ წიგნში. იგი ჩვენთან იყო, მაც-  
 რამ სხვა ჭიერს სუნთქვდა, მას ჭქინდა სკუთა-  
 რი სამართ — სიღამახისა და ოცნებას.

ჭო და... თანამედროვეთა ცხოვრება მეტად  
 უხეში იყო, ხოლო მისი კი — რქროს ლეკება,  
 რომელიც თვითვე დასწება თერთი ცრემლივ-  
 ბით... — მის სულს ჭსუთავდა ქადაქის ხმაურება,  
 ქარხნის ბოლი და უმნიშვნულო ფუსფუსი ადა-  
 მანისა მას ამეზრება მუღამ უცვლელი ბუ-  
 ნება — ჭხობლავდა მშვენიერება! ის სიღამახის  
 მოციქული იყო... და იყო ბედნიერი, რადგან  
 უხიარა მშვენიერების ბარძიში. ის მხოლოდ  
 სიღამახით სულდემულობდა. მან არ იცოდა ტან-  
 ვაგ მიწისა, რომელიც მხოლოდ მამხნ შეიგნო  
 როცა მის ზანსიტოკარტული ხელგის გადაქლო  
 ციხის ბორჯილი... სანამ კი ის ზუგლდა იყო,  
 სიცილით ზეგლდა, რომლისთვისაც უცნაო სე-  
 და მიწისა, და რომელიც უფრო დიდი სევდით  
 იტანჯება.

მას თიბთვის უგვიდს ვადარებ სიანხით,  
 მაცრამ მასვე ვუძახი ამარანს, რომელიც კავა-  
 სიანის მთებზე კი არ არის მიჯაჭვული, არამედ  
 უფრო უსამინელი — ერთფეროვან ცხოვრების  
 მიკრდეს.

და როგორც ქაღალდი, ებარება სუნთქვა  
 სიურრულისა, სწურონი იგი და ამვე დროსაც

უშინან მისა, რათა არ აღმასწავლებს ებ ნახი  
 ტკივილი სულისა, — ისე იყო ჩემი უაილი საუ-  
 კუნესთვის, რომელმაც წარმოშვა იგი. საკვირვე-  
 ლია მისი არსებობა და უფრო საკვირველია მი-  
 სი წიხი. მე ასევე ვსტებები მისი კითხვით  
 და ხშირად შესმის მისი სიტყვები, რომელთაც  
 იგი უხელგრებს მშვენიერებას: ამრუშიმ, ძვირ-  
 ფასი ამუფრი, დიდი ხომლი, რომელიც იტხე-  
 ბა ისე, როგორც სასწაულებრივი გეოგრაფია —  
 ციქნლოვანი ფთხლებით, ძვირფასი ქვები და  
 ნახები ტიგერისისა და ხმარსეთისა, ვარდისფე-  
 რი მარაო და ბროლის ვახა, საბურველი და ქარ-  
 გები, მხატვრული ედები და სხ...

უკვდა ეს ერთხანთ სიღამახეს გამოჭხა-  
 ტავს, რომელიც ნაწილია უკვდავი მშვენიერები-  
 სისა. მას სწამს, რომ უმისოდ ქვეყნას ბნელია.  
 ნუ იტახავ, მეტნიერა, თავს ჭეშმარიტების  
 საძიებლად...

ფაუსტო! სიღამახე მიგვიყვანს ჭეშმარიტე-  
 ბამდის... ჭო დიდას! რად უგვირდები ასე ღრმად  
 ამ ბნელს, რად ეძებ მასში ცხოვრების აზრს,  
 ჭეშმარიტებას?... შენ თვალის აცილებ მშვენი-  
 ერებას! — მე მიწამ ასე ეტუდა უაილი განგე-  
 ნებულს კვიარს ადამიანის ტრადიციისა და და-  
 ამშვიდებდა კიდევ, მშვენიერების მოძღვრებით.

და განა მხოლოდ მისთვის მიგვიან უაილ-  
 დი? არა, მე იმდენად მიუყვარს იგი, რამდენად  
 მას ესმის და უყვარს ხელოვნება. განა მან არ  
 სთქვა, რომ ხელოვნებით „შემიძლიან შუა ზამ-  
 თარში ავაუვაგო ნუშის ხე და თოვლი გადავაყ-  
 რო მკათთვის ენებს, მე მისით ვიცი ისეთი  
 უკვდავები, რომელთაც არ უნახავთ ამ ქვეყნის  
 ბადები, მე ვიცი სირინ, რომელთაც არასოდეს  
 არ უნსივართან ტუის სიღრმეში“. დაას, ყოვლის  
 მოქმედი ხელოვნება. მან შექმნა ცხოვრება,  
 ბუნება და უკვდაფერი... იგი არ გამოხატავს სუ-  
 ლის ეოფას — საუკუნისას.

იგი არ არის რომელიმე საუკუნის სიმბო-  
 ლო, საუკუნე არის მისი სიმბოლო, ისევე  
 როგორც კობაქს ქმნის ადამიანი... ეს სწამდა  
 უაილდს და ამისთვის არ შეაერთა: ბუნება და  
 კულტურა, სტიქია და გონება, ცხოვრება და  
 ხელოვნება! ხელოვნების მხატვარი ქმნის ტიპს,  
 ხოლო ბუნება სწლილბას — განახორციელის  
 იგი. ცხოვრებას უჭირავს სარკე ხელოვნების წი-





ნაშე და ახორციელებს სხვა და სხვა სახეებს, ხელაფნებისაგან შექმნილს.

ხელაფნება თავისუფალია, ვით ნიაჲი, ჩემ სამშობლოში, — ნუ მიანდობთ მას ქვეყნის სამსახურს... ხელაფნება ის უღამაჲესი ქალწულია, რომელსაც ვერ წაბაჲყვის ვერც ერთი ბანკანი. ამაოდ ბაძვის ბუნება მას და ამაოდ იძიხით თქვენ: ხელაფნება სარკა ცხოვრებისაო. ცხოვრება არა ქმნის ხელაფნებას, ხელაფნებაა შემოქმედი ცხოვრებისა, ისე როგორც ბუნებისა.

ღიად, თვით უაიღღმა, საკუთარი ცხოვრება გარდაქმნა ხელაფნებად (ღორიან გრეი) და გახდა მის ბირველ მსხვერპლად, რადგან არ დამდგარს ჟურ მისი კანთაიდა...

**გოგლა ლეონიძე**

**სახალხო თეატრის ისტორია**

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 20)

1897 წ. ჩაგკაღის აუდიტორიაშია სახალხო წარმოდგენების მართვის რაკი ინტელიგენცია ჩაუდგა სათავეში, მოინდომა აუდიტორიის გაფართოება და სტენის ხელახლა შეკეთება. ამ მიზნის მისაღწევად სექციამ დახმარება სთხოვა ქართ. დრამატულ საზოგადოებას. დრამატულმა საზოგადოებამ, სექციის წევრის ბ. ნ. ტიორგი დასხიშვილის (რომელიც იმჟ დროს ქართ. დრამ. საზ. ბის გამგებობის წევრად იყო) შუამდგომლობით შემოსწირა 150 მ. ამ ფულით ჩაგკაღის აუდიტორიას წინა დერეფანი მოუმტრეს. ახლო თუთავემაც შესწირა სამდობრო და ხის მასალა თავის მომუშავეებით. აუდიტორია შეაღამაჲეს და სტენაც შეაკეთეს. ამავე წელს აგვისტოში ნანძალადევშია გრ. ჩარკვანის სახლის ეზოში მისავე თასნობით და მაქრო საფარის რეჟისორბით გაიმართა 3 წარმოდგენა მიგრულდაწყებითი სამრეფლო სკოლის სახარგებლოდ. მიგრული წარმოდგენა იყო „ქოჩნა“, მერე — „არსენა“, შესამე — რად გინახეს, ველარ ნახეა“. ამ ბიესებში მონაწილეობა მიიღეს: ქ. ნ. ოლივა; საეთასანი (შეკლიძის), ვარო ურუშინოჲმა, სონა ტიციშვილის ასულმა და ქ. ბაღაშვილმა; ბ. ნ. ჯაჭრაძემ, გ. ჯაბაურმა, ი. ან-

სარიძემ, გ. მარსაკოჲმა, ალ. ელაბეკაშვილმა (ახლანდელი მსახიობი), ი. დარახველიძემ და სხ. წარმოდგენას დიდადი ხალხი დაესწრო და ფულიც დანიშნულისამებრ გარდაეცა. დადგა ზამთარა და წარმოდგენებიც შესწუდა, რადგან არ შეიძლებოდა ზამთარში დერეფანში წარმოდგენის მართვა.

აგკაღის აუდიტორიის სექციამაც დაასრულა დარბაზის და სტენის შეკეთება და დაიწყო წარმოდგენების მართვა. ეს იყო უკვე 1898 წელი 4 იანვარი. ამ სეზონში წარმოდგენეს: 1) ჩაგურა გ. ერისთავისა, 2) 2 თებერ. ჩიმიბირელია ა. ტავარდისა, 3) 15 თებერვ. „ჩქერ დახობნენ შერე იქორწილეს“ და „ადვოკატი მელაქია“, 4) 10 აპრ. „თამარ ბატონიშვილია, კ. მუსხისა, 5) 3 მაისს — „სახუმა“ ა. ტავარდისა. ამ სუთ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ქ. ნ. მარ. დემურამ, ეკ. წულუკიძემ, ს. ტიციშვილმა, ან. ჩანბაძამ, ნ. ნაკაშიძემ, გვარამამ, ოლ. ხაფასიმ და სუხაძემ; ბ. ნ. კალირიძემ, დ. შველიძემ, გ. ჯაბაურმა, გ. ანანაშვილმა, ისაქ ძიქლაძემ, იოსებ იმედაშვილმა, ერეკია გული-საშვილმა, სე. ჟუღელმა, დიდაშვილმა, ქალაძემ, იოსებ ქეთთელაძემ, გ. დასნიშვილმა, ოლ. ნაკაშიძემ და თუმანიკამ.

ამ წარმოდგენებში მორიგებობით რეჟისორბადენ ერეკია გულისაშვილი და ივანე ი. ალაძემ.



**ნ. გოგორიძე**

1896 წლიდან დღევანდლამდე სახალხო თეატრის მუღმივი სცენის მოყვარე, სულის ჩამდგმელი და ხალხის საყვარელი მსახიობი, თითქმის ყოველ წარმოდგენაში მონაწილეობს. ბევრჯელ მიიწვიეს დრამ. საზოგადოების დასში მსახიობად, მაგრამ უარი განუცხადა და ისევ სახალხო თეატრში ხალხის სამსახური არჩია. ზმირად იყო არჩეული სახალხო თეატრის რეჟისორად და უფრო ზმირადაც სხვა მოწვეულ რეჟისორის მოვალეობაც შეუსრულებია.

შემოსენებულ წარმოდგენებს დაესწრო 1578 კ. შემოსავლი იყო სულ 78 მან. და 90 კაპ. დაინახა ამ წარმოდგენაზე 83 მ. 80 კაპ. ისე რომ ზარალი იყო 4 მან. და 90 კაპ. რომელიც გადაიხადეს სტენის მოყვარეებმა თავიანთ ვიბიდან. დადგა ზაფხული და სეზონიც შესწუდა.

**გ. ჯაბაური**

(გაგრძელება იქნება)

# ქართული სახიობა

**მუსულმანთა აუდიტორიუმი 12/XII ბ. გ.**

მჭედლიშვილის რეჟისორობით დასდგეს „ლექსის ქალი გულჯავარი“. დღევანდელ მომენტში ასეთ პიესების დადგმა რომ შეუფერებელია, ისიც მუსულმანთა აუდიტორიუმს, ეს ვინ არ იცის ბ. მჭედლიშვილის გარდა. მაგრამ ამას გვერდს აუქციეთ და მოგახსენებთ, თუ როგორ აწამეს ჯერ პიესა, მერე საზოგადოება. ბ-ნი გ. მჭედლიშვილი (ლევანი) მოგაგონებდათ სასაკლავოდან გამოქცეულ კიშკს, თვით რეჟისორობდა და ვერ მიძინებდა ირთუ კი, სცენაზე იყო თუ საჭიდაო მოედანზე. დარბაზს სრულებით არ იცოდა (შგონა პიესის შინაარსიც), უადგილოდ ისროდა ფრაზებს, თვითვე „სთხზავდა“ მონოლოგებს და თუროდ ლულულებდა. აი, ბ-ნი გ. მჭედლიშვილის ქართული ლაბარაკის ნიმუშიც: „მანსაჯან, ავალისაკენ, ლევეთისაკენ, აქლემი მოხადე ცხენებს“ და სხ. თავადი რეჟისის ნაკალად, რომელიც დარბაზისელი მოხუცი უნდა იყოს, სცენაზე ენახეთ უპრობო ბავშვი. მეხუთრევა (ბატონიშვილი), რომით სომეხა, რომელსაც ქართლის არა ვაგებდა რა, ვერ მიახერხა თავისი როლის მეთვდი მაინც გადმოეცა, მხოლოდ რაც სთქვა, ისიც ასეთი ქართულით: „სამჯერ ავიცი რაზმ ტყვეს, კაცი მკვლელის გიძრახებს“ და თავის სახეს ირაკლის ხშირად რაზმს ეძახდა, რჩეულოვისა (გულჯავარი), რომელიც 18 წ. უნდა იყოს, შავებში გახვეული ძვრივი, მოგვევიდნა სამოცი წლისად, ისიც ჭრელ ფარჩებში, დანარჩენნი ასევე „ამ-შვემედენ“ სცენას. ერთი სიტყვით აუწერილობა ამ ვაქბატონთა მიერ საზოგადოების აბუჩად აწოდება. ნუ თუ შეუძლებელია ამ თავაშვებულთა აღგავა?

დასასრულ, თუ ბ-ნი მჭედლიშვილის სცენის სამსახური ვერ დაუთმია, თავისი დასით დედა-ენა მაინც უსწავლოს და ისე გამოხდეს ფეხი ქართულ სცენაზე. მელპომენის მიმხრე

## წვრილი აგებები

➔ **ვაჟა-ფშაველას საღამო** ქართველ მოღვაწეთა აგარაკის სასარგებლოდ „ხარფუხის სახ. კლუბში“ (მიხილის პრ. № 129) გაიმართება დღეს, შაბათს, 19 ქორისტუმ. მონაწილეობას მიიღებენ, სხვათა შორის: გრ. რობაქიძე, დ. კასრაძე, ნ. ერისთავი, ა. აღმაძიძე, ს. გლახაშვილი, ა. ფანცვლაია, მგონებნი: ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ს. ფაშალიშვილი, ბ. ახოსანიანი და სხ. საღამოს მხატვრობის შერის მოწყობა დავალებული აქვთ ს. გლახაშვილს, მხატვარს ვ. ს. ერისთავსა და ა. წუწუნავს. საღამოს მპართავს „ხარფუხის სახ. კლუბის მამასახლისთა“ სტეპო.

➔ **მსახიობა-მწარალი ვალ. ზაღრაძის** სახელობით, 15/XII, ბაქო ან თბილისს ჩამოვიდა (სად გურუბე ამხანაგ მსახიობნი შეეგებენ) და „ნოეს“ სას-

ტუმროში ჩამოხტა, ხოლო სუთნაბათს, 17X/II, ქუთაისს გაემგზავრა, საიდანაც სოხუმს გადაიყვანენ. თან ახლდა მსახ. შ. ჯანოვი (ნემო).

➔ **ძაბო. დარმ. საზ-ის გამგეობამ** ავადმყოფ მსახ-მწერალს ვ. შალიკაშვილს ჯერჯერობით 100 მან გადასცა სახარჯოდ სუსტიდაა.

➔ **ძაბო. დარმ. დასამ** ესიკოვსკის კინო-რეჟისორში ოთხშაბათს, 16X/II, წარმოადგინა „ანტიგონე“ ანტიკური დრამის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა გრ. რბაქიძემ. წარმოდგენის დაწყებამდე სინემატოგრაფი იყო. ბეგრა ხალხი დაესწრო.

➔ **ძაბო. დარმ. დასი** სახალხო სახლში 21/XII წარმოადგენს „დენი ჩვენი ცხოვრებისა“.

➔ **ქუთაისში ახალი თეატრის** აშენების შესახებ თათბირებ ქუთ. დ.ამ. სახ. გამგეობის თაოსნობით მიწვეულ იქმნენ ქუთაისის კულტურულ საზოგადოებაში წარმომადგენელნი

➔ **„ახალი მოამბის“** რედაქციის დაჯვლებით ელენე ანტონოვსკისა სთარგმნის რომანებს: 1) „კოპწია დღეოალი“, 2) „დღეაკაცი ექვნიშ და სიკვდილის წინაშე“ და 3) „ნაპოლეონი წმ ელენეს კუნძულზე“.

➔ **ბრადიციულ იტოვხულ დღეობათა** გამართვის შემოღებამ აპირებს ქარ. კულ. მოყვ. საზოგადოება. დღეობაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხის წარმომადგენელი თავისი სახელოვნო ნიჭის გამოჩენით.

➔ **ძაბოში წგნ. ჩავუღობათა** და საქართველოს კულტ. თვისებათა სისტემატიური შესწავლის შესახებ თ. კორძინია მოხსენებას ამზადებს

➔ **სად. შორაპანში 13/XII** განზარახული წარმოდგენა, ქ-ნ ჯიქიას უარის გამო, გადაიდო.

➔ **ალაბიკში** (თერგის ოლ.) მომავალი წლის 6 იან. გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო („ხედმა მილატა“, „იორია მონასტერი“ და საკონცერტო განწ. ცოცხალი სურათები).

➔ **შმ. თაგ. ბ. შ. შარვაშიძის** პიესას „გიორგი III“ ახალი დრამა“ ავტორის ხელმძღვანელობით ამზადებს და 19—20/XII ქუთაისში წარმოდგენს.

➔ **ამად არიან მოსწონები** გ. რუხაძე ქუთაისში და გელა ასტრახანში (გადასახლებულია)

➔ **ფობ. ი. სტურაშ** გადასწყვიტა კოლალომთაიძის სურათების შემოკლების 20% კ. ლ—ძისავე სახელობის თანხის სასარგებლოდ გადაღმს.

➔ **პიათურის დარმ. წამმ** უახლოვებს დროში წარმოდგენას მართავს ავადმყოფ მსახიობ-მწერალის ვ. შალიკაშვილის სასარგებლოდ (პისივე პიესას). იმედია საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება ამ წარმოდგენას, მით უფრო, რომ ვ. შალიკაშვილმა, სხეებთან ერთად პირველად ჩაყარა დ. პიათურაში თეატრის საძირკველი.

წერილი რედაქციის მიმართ

**ქართველ მოღვაწეთა გაყ-ფშაველას სახელობის აგარაკის ასაკებად წყირაფ ერთ აგურის ფას 10 მ. (გადატე ქარ-გულ. საზ.) ა. ს. ლორთქიფანიძე**

**რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა**





# სახალხო ფურცელი

გაზეთი სურათებიან დამატებით ღირს წელიწადში 9 მ 50 კ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვეთ 2 მ 50 კ., ოვით 90 კ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. ხელის მოწერის დროს 3 მ. 50 კ. პირ. ივლის. 2 მ. და პირვ. ენკენ, 1 მ. 50 კ. კანტორა ხელ. მოწერ. ღიაა დღის 9 ს. ნაშუად. 8 ს. და საღ. 6—8 ს. წლიური ხელის მოწერნი, რომლებიც 1918 წლის 1 აპრილამდე სრულიად გადაიხდიან წლიურ ფასს, მიიღებენ პრემიას ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ. თხზულების შინაარსი ექნება დაახლოებით შემდეგი: 1. ომი და მისი მიზეზები; 2. ერი და სახელმწიფო; 3. მუშათა კლასი და სოციალისტური ორგანიზაციები ომის წინა და ომში; 4. ერი და დემოკრატია; 5. რევოლუტი მისახლეობა საქართველოში და საქ. ტერიტორია; 6. კავკასიის ენები და მათი ურთიერთობა; 7. ომის მიმოხილვა.

**საარემიო თხზულების ავტორები:** კ. აბაშიძე, ი. გუდუჩაძე, გ. გველეხიანი, გ. ჯასხიშვილი, გ. შააშვილი, გ. რცხვაძე, ს. ფარცხვაძე, გ. ქიქოძე, თ. ღვინტიანი, ჯაჭვანაშვილი. მისამართი: ტფილისი „სახალხო ფურცლის“ რედაქცია, სახალხის ქუჩა, ხარაჯიშვილის სახლი № 6. ტელეფონი 12—29.

## თანამედროვე კვრი

გაზეთი ღირს როგორც თფილისში ისე პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ. ერთი თვით 90 კ. გაზეთის ფასზელის მომწ. წინდაწინ უნდა გადაიხ. ნისიათ არავის გავეზავნება.

ფოსტით ხელის მოწერა უნდა შედეგად აღრესათ უნდა გამოეგზავნოს: **თფილისი, 194. ყა. № 199** Власію Маланіевичу Бохохадзе. თფილისის ხელის მომწ. ფული უნდა შემოიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლგას ქუჩა: № 6 მომავალ წლის მომწერლებს კანტორა უმოორილენაღ სთხოვს ფული 20 დღემზამდე შემოიტანონ

კვლევი... და...  
**გვერდითი**  
 ველომ ხალხის კოსპობრივი და ერთეული ინტერესები, ეუღლ. ანხ. ეროვნული კავშირი გააძვირეს უცხო ეროვნების გზაზედ კოსპობა.  
**წლიური ფასი 2 მ. 50 კ. ოვეში 25 კ.**  
 ფული უნდა გამოეგზავნოს გუგუშვილ შუქიძეს მისამართი **თფილისი, Мухомануძე № 12, Георгію Никіфоровичу Медіке.**

**„განათლება“** უნდა გამოეგზავნოს თბილისში ოლგას ქუჩა № 6. კანტორა  
 კვლევი: „ეკატერა და ცხოვრება“, „თბილისი“, „ეკ. მათარხაძე“, „საქართველო“, „თფილისის ლისტოკი“, „Русское Слово“, „კოსპობა“, კვლევის კვლევი და სს და სს. ქართული წიგნები. ფული უნდა გამოეგზავნოს შემდეგად აღრესით: **თფილისი, почтовый ящик № 96, С. Таварткидзе.**

ახალი **ავთოიკი** პროფ. ა. ს. ახვლედიანისა. სახელდრო ქ. და გოლოგინის პრ. კუთხე.

## გამართულია ხელის მოწერა კიკნა-ფუკვილის

პოემებისა და რჩეული ლექსების კრებულზე, რომელსაც დავითის სურათი, მიოგრაფია და დ. კანსაძის გრიტიველი წერილი, ხელის მოწერა შეიძლება ხეფის რედაქციაში და მის, ხერხულიძესთან: პარკოვსკი ქ. სახ. № 27.

20-й г. изд. ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1916 годъ. 20-й г. изд.

# Театръ и Искусство.

52 номера еженед. иллюстр. журнала, 12 ежем. книгъ Библиотеки, до 40 репертуар. пьесъ. Отдѣлъ „Эстрада“, заключающій номера для чтенія со сцены, дивертисментовъ и концертовъ. Въ распоряженіи редакціи имѣются слѣдующія пьесы: С. А. Найденовъ—„Работница“, комъ въ 4 д.; Л. Урванцовъ—„Вѣра Мирцева“, пьеса въ 4 д.; С. Шиманскій—„Кровь“, драма въ 4 д.; Ш. Ашъ—„Польские евреи“, пьеса въ 4 д.; П. П. Гнѣдичъ—„Уходящіе боги“, пьеса 4 д.; Д. Айзманъ—„Лѣтній романъ“ пьеса въ 4 д.; С. Ауслендеръ—„Хрупкая чаша“, пьеса въ 5 д.; А. Вознесенскій—„Антриса Ларина“, пьеса въ 5 д. и мн. др.

Въ виду вздорожанія бумаги подписная цѣна увеличена на 1 рубль.

Подписная цѣна на годъ 9 руб.

Разорочка при подп. 4 р., къ 1 апрѣля—3 р.,

къ 1 юня—2 р. За границу 14 руб.

На полгода (съ 1-го января) 5 руб. За границу 8 руб.

На мѣсяць безъ приложений—65 коп.

Гл. контора: Петръградъ, Вознесенскій пр., д. 4. Телеф. 16—69.

Подпис. цѣна:  
годъ 7 р. — к  
1/2 г. 3 — 50  
3 м. 1 — 75  
1 м. — 60  
За грам. отдѣл  
Допускается  
разорочка.

VIII г. изд. на 1916 годъ VIII г. изд.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА

на еженедѣльный богато-иллюстрированный журналъ

Подъ редакціей „РАМПА И ЖИЗНЬ“ Л. Г. Мухометовой (Lolo).

Театръ.—Музыка.—Литература.—Живопись.—Скульптура.

бывающ. впереди текста п. строка цѣтита, озади текста 50 коп.

Бесплатная премія для годовыхъ подписчиковъ:

галлерея сценическихъ дѣятелей

роскошно-иллюстрированное изданіе

1900—1916 гг. Томъ П-й.

52 большихъ портрета (на обложкѣ) артистовъ, писателей, композиторовъ и художниковъ, болѣе 2000 снимковъ, зарисовокъ, шаржей, каррикатуръ и проч. Собственные корреспонденты во всѣхъ западно-европейскихъ театральнхъ центрахъ. 52

Годовые подписчики, желающіе получить 1-й томъ „Галлерей“, доплачиваютъ 1 р. 75 к.

Адресъ: Москва, Богословскій пер. (уг. Б. Дмитровка), д. 1. Тел. 2-58-25.  Контора открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней и субботы отъ 11—4 часовъ дня.  ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ также въ Москвѣ у Н. И. Печковской и К<sup>о</sup> (Петровскія Линіи) въ книжн. маг.: „Новое Время“ (въ Петрогр., Москва и пров. гор.), въ муз. маг. В. Бессель и К<sup>о</sup> (Москва, Петровка, 12), М. О. Вольфъ (Москва—Петроградъ) кн. маг. Л. Издиковскій (Кіевъ, Крещатикъ) и во всѣхъ книжн. магаз. гор. Москвы и провинціи. МОЖНО ПОДПИСЫВАТЬСЯ ПО ТЕЛ. 2-58-25.

შეიქმედებულია სპეციალური კაბინეტი 1916 წ.  
თეატრისა და ხელოვნების

Доволено Военной Цензурой სტამბა „სობრანა“